

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 38

ქ.თბილისი

2021 წლის 15 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 15 აპრილს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ვ. ბერეკაშვილის მატჩის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის ნ. ელოშვილის მოხსენებითი, ამა წლის 11 აპრილს, რეგიონული ლიგის მატჩზე, თბ „რაშები“-სა და თბ „წიქარა“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

1. თბ „რაშები“-ს მორაგბე ნიკოლოზ ჭარხალაშვილი ბილწსიტყვაობისთვის, მსაჯის მიერ გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით.

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 29<sup>1</sup> პუნქტის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც წითელი ბარათის მომღები მორაგბე ავტომატურად ტოვებს 1(ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ არ დააკისრა თბ „რაშები“-ს მორაგბე ნ. ჭარხალაშვილს დამატებითი სანქცია.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/